GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის №: 779
თარიღი: 4 11 2014 წ.

GRASS
REFORMANDA

ახმეტის მუნიციპალიტეტს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელ პირს

ქალბატონო/ბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- 2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენი კილომეტრი საავტომობილო გზა დაიგო/რეაბილიტირდა. რა ოდენობის თანხა დაიხარჯა აღნიშნულ სამუშაოებზე? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, გზების დასახელებებისა და თითოეული მათგანის დაგება-რეაბილიტაციის ღირებულების შესახებ ცალ-ცალკე);

- 2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენი კილომეტრი საავტომობილო გზის დაგება და რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი. ასევე რა ოდენობის თანხა დაიხარჯა სამუშაოებზე და ამ დროისათვის რა ეტაპზეა სამუშაოები? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, გზების დასახელებებისა და თითოეული მათგანის დაგება-რეაბილიტაციის ღირებულების შესახებ ცალ-ცალკე);

- როდის დაიწყო დუისი-ომალოს დამაკავშირებელი გზის საფარით მოპირკეთების სამუშაოები, რა ეტაპზეა ამჟამად და რამდენი კილომეტრი საფარი დაიგო?

- დუისი-ომალოს დამაკავშირებელი გზის საფარით მოპირკეთების სამუშაოებზე რა ოდენობის თანხა იყო გამოყოფილი და რა ოდენობის თანხა დაიხარჯა ამ დროისათვის სამუშაოებზე?

- რა ვადებში იყო დაგეგმილი სოფელ საკობიანოს შიდა საუბნო გზის მოპირკეთების სამუშაოების დაწყება და დასრულება?

- რა ოდენობის თანხა დაიხარჯა სოფელ საკობიანოს შიდა საუბნო გზის მოპირკეთებით სამუშაოებზე?

- ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე რამდენი სოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია იყო დაგეგმილი და რამდენი რეაბილიტირდა? ასევე რა

ოდენობის თანხა დაიხარჯა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად სოფლების მიხედვით)

- როდის დაიწყო და რა ეტაპზეა ამჟამად მდინარე ალაზანზე დუმასტურ-ჯოყოლოს დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის სამშენებლო სამუშაოები? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, რა ოდენობის თანხაა გამოყოფილი სამშენებლო სამუშაოებზე, რამდენი დაიხარჯა და როდის დასრულდება ხიდის მშენებლობა);

- 2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში რამდენი ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი აშენდა? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად სოფლების მიხედვით).

პატივისცემით,

სერგი კაპანაძე

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) დირექტორი

მისამართი:

თბილისი, რაზმაძის ქ. # 15

საკონტაქტო პირი:

ლაშა სენაშვილი

lashasenashvili@gmail.com

598809512